

თავი 8**ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და ელემენტები – ტესტები**

1. მოგება-ზარალის ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების:
 - ა) კომპონენტს;
 - ბ) ელემენტს;
 - გ) ორივე პასუხი სწორია.
2. ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტთაგან საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენება:
 - ა) ბალანსი;
 - ბ) მოგება-ზარალის ანგარიშგება;
 - გ) ორივე ზემოთ ჩამოთვლილი.
3. ფინანსური ანგარიშგების ელემენტებიდან ბალანსში წარმოდგენილია:
 - ა) აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი;
 - ბ) შემოსავლები, ხარჯები, საკუთარი კაპიტალი;
 - გ) აქტივები, შემოსავლები, ხარჯები.
4. ფინანსური ანგარიშგების ელემენტებიდან მოგება-ზარალში წარმოდგენილია:
 - ა) აქტივები, პასივები;
 - ბ) შემოსავლები, ხარჯები;
 - გ) ვალდებულებები, კაპიტალი.
5. ქვემოთ ჩამოთვლილ ელემენტთა ჯგუფებიდან საწარმოს საქმიანობის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება:
 - ა) აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი;
 - ბ) შემოსავლები, ხარჯები, კაპიტალი;
 - გ) შემოსავლები, ხარჯები.
6. საწარმომ მოახდინა საქონლის რეალიზაცია. ამ გზით მიღებული სარგებელი მიეკუთვნება:
 - ა) შემოსულობას;
 - ბ) ხარჯებს;
 - გ) ამონავებს.
7. საწარმომ მიმდინარე ინვესტიციები შეაფასა საბაზრო ღირებულებით, რომელიც მის ამჟამინდელ საბალანსო ღირებულებაზე მეტი აღმოჩნდა. ეს ნამეტი შეიძლება მიეკუთვნოს:
 - ა) შემოსულობას;
 - ბ) ხარჯებს;
 - გ) ამონავებს.
8. საწარმო "X"-ს 20X0 წლის 1-ლი მაისიდან გააჩნია მოკლევადიანი ვალდებულება საწარმო "Y"-ის მიმართ, რომელიც არ არის დაფარული 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 20X1 წლის ბოლოსათვის დადგინდა, რომ საწარმო "Y" ლიკვიდირებულია. როგორ უნდა მოიქცეს საწარმო "X"-ის ბუღალტერი:

- ა) ეს ვალდებულება უნდა დატოვოს ასახული ბალანში მოკლევადიანი ვალდებულების ნაწილში;
- ბ) ეს ვალდებულება აღარ აკმაყოფილებს ელემენტი “ვალდებულების” განმარტებას და უნდა აისახოს შემოსავალში;
- გ) ეს ვალდებულება აღარ აკმაყოფილებს ელემენტი “ვალდებულების” განმარტებას და უნდა აისახოს ხარჯებში.

9. 2011 წლის 31 დეკემბრისათვის საწარმოს საწყობში სხვა მარაგთან ერთად აქვს ერთი სახეობის საქონელი, რომელზეც მოთხოვნა ბაზარზე არც ახლაა და სავარაუდოდ არც მომავალში იქნება. ფინანსური ანგარიშგების შედეგების დროს ბუღალტერმა:

- ა) ეს საქონელი უნდა დატოვოს ასახული მარაგის ანგარიშზე;
- ბ) უნდა გადაიტანოს ხარჯში, რადგან აღარ ველოდებით მისგან სარგებლის მიღებას მომავალში;
- გ) უნდა აღიაროს შეძენის დროს გადახდილი ღირებულებით შემოსავალში.

10. აქტივებს ახასიათებთ უნარი:

- ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ შეუწყონ ხელი ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების შემოსვლას საწარმოში;
- ბ) ხელი შეუწყონ საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

11. რომელი მსჯელობა არის სწორი:

- ა) აქტივები = ვალდებულებებს + საკუთარი კაპიტალი;
- ბ) საკუთარი კაპიტალი არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ;
- გ) ორივე მსჯელობა სწორია.

12. პირვანდელი ღირებულების მეთოდია გამოყენებული, თუ აქტივები აღირიცხება:

- ა) იმ თანხით რომელსაც გადაიხდიდა სუბიექტი იგივე აქტივს ამჟამად რომ იძენდეს;
- ბ) მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ღირებულებით;
- გ) მათი არსებული ღირებულების თანხით, რომელიც მომავალში შემოსასვლელი წმინდა ფულადი სახსრების ტოლია.

13. თუ აქტივების აღირიცხა ხდება იმ ღირებულებით, რომლის მიღებაც არის შესაძლებელი ამ აქტივის გაყიდვის შედეგად მიმდინარე პერიოდში, მაშინ ამ ღირებულებას ეწოდება:

- ა) დისკონტირებული ღირებულება;
- ბ) სარეალიზაციო ღირებულება;
- გ) მიმდინარე ღირებულება.

შინადასახურებო ანგარიშგების კომპონენტები და ელემენტები – ამოცანები**ამოცანა N1**

ქვემოთ მოცემულია სააქციო საზოგადოება “X”-ის 20X2 წლის დეკემბრის თვის სამეურნეო ოპერაციები.

დავალბა:

- 1) გახსენით ანგარიშები სქემებზე, გადაიტანეთ მათზე საწყისი ნაშთები 01 დეკემბრისათვის;
- 2) გაანალიზეთ თითოეული სამეურნეო ოპერაცია და ასახეთ ქრონოლოგიურად პირველადი ბუღალტრული გატარებები სარეგისტრაციო ჟურნალში;
- 3) გახსენით ანგარიშები სქემებზე;
- 4) ბუღალტრული გატარებები გადაიტანეთ სისტემურად მთ. წიგნის ანგარიშებზე;
- 5) შეასრულეთ მარეგულირებელი გატარებები;
- 6) მოამზადეთ საცდელი ბალანსი 20X2 წლის 31 დეკემბრისათვის (მარეგულირებელი გატარებების შემდეგ);
- 7) შეასრულეთ დასკვნითი გატარებები;
- 8) მოამზადეთ:
 - ა) მოგება-ზარალის ანგარიშგება;
 - ბ) ბალანსი.

საწყისი ნაშთები 01 დეკემბრისათვის:

ფული საბანკო ანგარიშზე	20.000 ლარი;
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10.000 ლარი;
საქონელი	43.000 ლარი;
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3.000 ლარი;
კაპიტალი (ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან)	70.000 ლარი.

დეკემბრის თვის სამეურნეო ოპერაციები:

- 1) **01.12** - კრედიტით შეძენილი იქნა 1.000 ლარის ღირებულების ოფისის აღჭურვილობა;
- 2) **02.12** - წინასწარ გადაერიცხა დასუფთავების სამსახურს დეკემბრის თვის მომსახურების ღირებულება 200 ლარი;
- 3) **05.12** - უნაღლო ანგარიშსწორებით გაიყიდა 10.000 ლარის თვითღირებულების საქონელი 14 000 ლარად;
- 4) **08.12** - კრედიტში გაიყიდა 6.000 ლარის თვითღირებულების საქონელი 8.400 ლარად;
- 5) **15.12** - სრულად გადაირიცხა 1-ლ დეკემბერს კრედიტში შეძენილი ოფისის აღჭურვილობის ღირებულება.
- 6) **20.12** - კრედიტში გაიყიდა 4.000 ლარის თვითღირებულების საქონელი 5.600 ლარად.
- 7) **22.12** - გადარიცხულია 100 ლარი ადგილობრივ გაზეთში რეკლამის განთავსებისათვის.
- 8) **24.12** - დებიტორისაგან გადმორიცხულია 8.400 ლარი;

წლის ბოლოს:

- ✓ დეკემბრის თვეში მოხმარებულია 400 ლარის ელექტროენერგია;
- ✓ დარიცხულია ადმინისტრაციის თანამშრომლებზე ხელფასი 2.000 ლარი;
- ✓ დაარიცხეთ დასუფთავების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისი ხარჯი.

სარეგისტრაციო „მთავარი შურნალი“

[illegible]

დ	შ	დ	შ	დ	შ
დ	შ	დ	შ	დ	შ
დ	შ	დ	შ	დ	შ
დ	შ	დ	შ	დ	შ
დ	შ	დ	შ	დ	შ
დ	შ	დ	შ	დ	შ
დ	შ	დ	შ	დ	შ

ს/ს „—“

საცდელი ბალანსი

20X— წლის — —————

№	ანგარიშის დასახელება	ანგ. №	დებიტი	კრედიტი
ჯამი:				

ს/ს „—“

მოვება-ზარალის ანგარიშგება

20X— წლის — —————

(ლარი)

შემოსავალი რეალიზაციიდან

მარაგის თვითღირებულების ხარჯი

მოვება რეალიზაციიდან

მიწოდების ხარჯები

ადმინისტრაციის ხარჯები

მოვება დაბეგვრამდე

მოვების გადასახადის ხარჯი

საანგარიშო პერიოდის წმინდა მოვება

შენიშვნა: მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოცემული გაქვთ ფუნქციების მიხედვით ხარჯების კლასიფიკაცია, ანუ:

- ✓ მარაგის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს - ანგ. №7100-ის და №7200-ის ჯამს;
- ✓ მიწოდების ხარჯი მოიცავს - ანგ. №7300-ის ჯგუფის ანგარიშების ჯამს;
- ✓ აღმინისტრაციული ხარჯი მოიცავს - ანგ. №7400-ის ჯგუფის ანგარიშების ჯამს.

ს/ს “___”

ბალანსი

20X__ წლის ___ _____

აქტივები	თანხა	პასივები	თანხა
მიმდინარე აქტივები		მიმდინარე ვალდებულებები	
სულ მიმდინარე აქტივები:		სულ მიმდინარე ვალდებულებები:	
გრძელვადიანი აქტივები		გრძელვადიანი ვალდებულებები	
სულ გრძელვადიანი აქტივები:		სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:	
		კაპიტალი	
		სულ კაპიტალი:	
სულ აქტივები:		სულ პასივები:	